სსრ კავშირის პირველობა

გუშინ მოსკოვში "დინამოს" სტადიონზე მორიგ კალენდარულ მატჩში თბილისის "დინამო" შეხვდა მოსკოვის "სპარტაკს". პირველ ნახევარში ორივე გუნდი მოდუნებულად თამაშობდა. მაგრამ ტაიმის დასასრულ თბილისელებმა გააძლიერეს შეტევები და მე–40 წუთზე არაშიძემ გაიტანა პირველი ბურთი.

მეორე ტაიმი უმთავრესად თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ ანგარიშის გადიდება ვერ მოახერხეს. 37–ე წუთზე მოსკოველმა თავდამსხმელებმა შესძლეს საპასუხო ბურთის გატანა და თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

"კომუნისტი", 19 ივნისი, 1948 წ.